საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №172

2014 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხა;“, „იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება;“ და „იმ თანამდებობის პირთა ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილი არიან გასცენ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვა;“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2014 წლის 1 მაისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**